თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL

განკარგულება:გ-27.27221511
თარიღი:31/05/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №30**

**31 მაისი 2022 წ.**

**ქ. თელავი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მოქალაქე ლევან ახალმოსულიშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტებისა და 36-ე მუხლის მე-2 პუქტის შესაბამისად:

**1.** მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, მოქალაქე ლევან ახალმოსულიშვილს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, **2 (ორი)** წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, ქეთევან წამებულის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.45.080).

**2.** საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს **4800** (ოთხი ათას რვაასი) ლარით.

**3.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**4.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

16 EREKLE II STR. 2200, TELAVI, GEORGIA TEL: 0(350)273900,
E-MAIL:TELAVIMUNICIPALITYCOUNCIL@GMAIL.COM